1915

კვირა, 12 აპრილი 1915 წ. ფასი 5 კაპ.

მეთრამი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 10

გამოდის ყოველ-კვირეულად. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе

სუფრაჭისტკეები

— ბატონებო, მე სანიმუშოთ მოვიწვიე დღევანდელს ჩვენს კრებაზე აი, ეს ჩემი ქმარი, რომელსაც აკეარე ყოველივე უფლება, როგორც პირადათ ბუნებისაგან მინიჭებული, ისე ჩემ მიერ ბოძებული; და აღარც დაუბრუნებ არც ერთს, ვიდრე სქესობრივი განსხვავება არ მოისპობა მამა-კაცთა და ჩვენ შორის...

სიზმარ-ცხადი

დილის ნიავმა მახარა
დადგომა გაზაფხულისა,—
ახლოს არისო ვარსკვლავი
გამხარებელი გულისა.

—„რამ დაგაფიქრა, რას სტირი,
გამხიარულდი ჩქარაო;
შორს აგდე გულის დარდები,
რაც რომ იტანჯე, კმარაო.

თენდება, ქრება წყვდიადი,
მტრობა და ბოროტებაო;
დაღალული ხარ, აწ გმართებს
სიმშვიდე-მოსვენებაო.

დამეხო ძალ-მომრეობა,
უსამართლობის ტახტიო;
აწ აღარ გინდა, დაჰყარე
ხმალი, ფარი და ლახტიო.

გამეფდა ქვეყნათ კეთილი,
სიმართლე—სიყვარულიო
და თავისუფლად ისუნთქავს
ჰაერს ტანჯული გულიო...

დამყარდა ძმობა-ერთობა,
ნუ სტირი შენსა ლხენასო;
აეხსნა „ზაპრეშჩენიე“
დამუნჯებულსა ენასო.

სულ გაწყდა მგლები, ტურები,
მელა, დათვი და ლომიო;
არწივი, ძერა, კაკაჩიც,
მორჩა, გადაწყდა ომიო.

რასაც ნატრობდი, აღსრულდა,
დამშვიდდი, გაიხარეო;
ნუ სტირი, გულს ნუ აკენესებ,
შორს აგდე სიმწუხარეო“.

გავკვირდი დიდათ და ცასა
ვეწიე ნეტარებითა;

თითზე ვიკბინე, —ცხადია,
თუ იყო მოზმანებითა?
— რათ არა გჯერა, —ცხადია,
ახარე ყველას მალეო;
დღესა თუ არა, —მაინცა
ხომ გაცხადდება ხვალეო!..

გ. ლადოშვილი.

საბჭოს კრება

შეიკრიბნენ ქალაქის ხმოსნები დარბაზში. მობრძანდა ქალაქის თავი ხატისოვი. ჩამოიკიდა ძეწკვი, დაარწყუნა ზარა და კრება დაიწყო.

უნდოდათ მასლათი აქეთურზე-იქითურზე. წამოდგა ხმოსანი მესხიშვილი და აურია გამგეობას დავთარი. ხმოსანმა სთქვა:

იცის თუ არა გამგეობამ, რომ ქალაქის ზემლეშერმა მელიქ-ალახვერდოვმა ქალაქის ადგილი საკენი 15 მანეთის მაგიერად ერთ მანეთად გაყიდა?

ვიცითო, —უპასუხა ხატისოვმა.

ისიც იცით, რომ მელიქ-ალახვერდოვმა ჟანდარმების სამმართველოს ქალაქის გეგმა მიჰყიდა 25 მანეთად და ეს ფული თითონ ჩაჯიბა და ქალაქის კასსაში არ შეიტანა?

—ეგეც ვიცით, —უპასუხა ხატისოვმა.

– მერე ეგ მელიქ-ალახვერდოვი ისევ ქალაქის სამსახურში ბძანდება?

—ბძანდებაო, —უპასუხა ხატისოვმა. რა უშავს? ჩვენი კაცია, კარგი კაცია. ის რაღაც 25 მანეთი მელიქ-ალახვერდოვს იმავე დღეს დაუხარჯავს და მერე დავიწყებია აღებაცა და დახარჯვაც. როცა გავახსენეთ, შემოიტანა კიდეც. ნეტავი თქვენ, ხმოსანო, მოგცლიათ მაგაზე ლაპარაკი...მოდი საზოგადო საქმეზე ვილაპარაკოთო.

დაიწყეს საზოგადო საქმეზე ლაპარაკი.

თურმე ნუ იტყვით ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია: საბრალო ყასბები ძლიერა ზარალობენ ხორცის გაყიდვაში და ხორცის ნიხრს თითო ოროლა კაპეიკი უნდა მოუმატოთო.

ხმოსანს ვესელოვზოროვს ეს ძლიერ გაუკვირდა და ასე სთქვა:

ბატონებო! ერთი ეს მიბძანეთ, თქვენს ნიხრს რა მნიშვნელობა აქვს, ან რისთვის იწერება?

გუშინ აქ, აი ამ დარბაზში ბძანდებოდა თბილისის პოლიციმეისტერი და სთქვა, რომ ქალაქის ნიხრით მე ჯერ არც ერთხელ ხორცი არ მიყიდნია, ყოველთვის მეტს მახდევინებენ ყასბებიო და აბა თუ მე არ მომყიდეს ნიხრის ფასათ, სხვას რაღათ მიყიდიანო? ან რამე ღონე იღონეთ, რომ ყასბებმა ნიხრის მიხედვით გაყიდონ ხორცი ან სულ მოსპეთ ეგ რაღაც ნიხრია.

გამგეობის წევრმა ჯაბარმა იწყინა ეს საყვედური და მოყვა გამგეობის გამართლებას. ჩვენი რა ბრალია? ჩვენ ვაჯარიმებთ ყასბებს და ისინიც ჯარიმას იხდიან. გულ კეთილი და უხვი ხალხია ჩვენი ყასბები. ერთი თვის განმავლობაში ჩვენმა „ბაზარნიკებმა“ 55 „პროტოკოლი“ შეადგინეს. ზოგი ათი თუმნით დავაჯარიმეთ, ზოგი ხუთი თუმნითა, ზოგი ერთი თუმნით. ყველამ გადიხადა ჯარიმა. ასე ვსჯით თავნება ყასბებს. არ გებრალებათ საკოდავი ყასბები?

ხმოსნებმა უპასუხეს: მერე ჯარიმის ფულს თითონ ყასბები სჭრიან თუ ეგ ფული მტოვრებლების ფულია?

ჯაბარი შეკრთა და ვერაფერი უპასუხა ხმოსნებს. მელიქ-ალახვერდოვი რომ ყოფილიყო ჯაბარის ალაგას, ასე იტყოდა:

ბატონებო, ფული ვის ჯიბეშიც არის, იმას ეკუთვნის.

კიდევ ბევრი რამ ილაპარაკეს ხმოსნებმა ხორცზე ნიხრის შესახებ და ბოლოს დაადგინეს: ხომ სულ ერთია, ყასბები მაინც თავის ნებაზე გაყიდიან ხორცსა და მოდი ნუ ვაწყენინებთ, მოუმატოთ ნიხრსა. მოუმატეს კიდეც პირველ და მესამე ხარისხის ხორცზე ერთი კაპეიკი და მეორე ხარისხისაზე ორი კაპეიკი.

რაღა თქმა უნდა, ყასბები ყველა ხორცს მეორე ხარისხისას დაარქმევენ.

ახ, სად არის ერთი კარგი მათრახი?!!

ეშმაკის ფეხი.

აღდგომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ აღდგომა! წავიდა ესეც,
უჩინარ ფრთებით გადინადირა,
ტანჯულ სიცოცხლის კვლავ ერთი
წელიც
უკვალოთ გაჰქრა და ჩაიძირა!

კიდევა მოვა, კიდევა წავა,
ასე ყოფილა, ასე იქნება!
ჩვენი სიცოცხლე ვითა სანთელი
ნელ-ნელ იწვება და ბოლოს ქრება.

რა მოიტანა! მხოლოდ სასჯელი,
რაღაც ფუსფუსი, რაღაც მზადება,
უზომო თმენა, უმიზნო ლხინი,
დღეს ჭირის მალვა, ხვალ შეცხადება.

აქ საზეიმოთ მორთული ტაბლა,
გული დაჭანგულ-გაუწმენდელი;
იქ – ომი, გრგვინვა, საშინელება,
კვნესა-გოდება, გულის მომკვლელი!..

ცხოვრების გულში კეპრის დუღილი
გოლგოთა, ჯვარცმა, მსხვერპლთა
წრიალი!
ზედა პირზედ კი -ფარისევლობა,
უგულო კოცნა, ტაში, ხრიალი!..

ზიზღით უცქერი ურწმუნო თომა
ამა წუთიერ განცხრომა-შვებას,
დღეს არა ვხარობ, რადგან ხვალ ისევ
ვგრძნობ ვერ ავცდები ტანჯვა-წამებას.

—

კიდევ აღდგომა. წავიდა ესეც,
უჩინარ ფრთებით გადინადირა,
ტანჯულ სიცოცხლის კვლავ ერთი
წელიც
უკვალოთ გაჰქრა და ჩაიძირა.

შანკოლა.

სიკვირე

ამბობდნენ და სწერდნენ გაზეთებში —გერმანიას ცუდი დღე მოელისო. ყველა მხრიდგან გზებს შეუკრავენ მოკავშირე სახელმწიფონი, არც პურს მიჰყიდიან, არც ხორცსა, არც კვერცხს და არც სხვა რაჰ სანოვაგეს და შიმშილით სული ამოხდება, მა რა ჯანდაბა მოუვაო.

გერმანიისა რა მოგახსენოთ და მე კი მართლა ლამის შიმშილით სული ამომძვრეს. პური გაქვირდა, ხორცი გაქვირდა, კვერცხი სულ არ იშოვება ბაზარში. რა ვიცი, გერმანიაში აგზავნიან თუ ინგლისში, მე კი ვერც წითელი კვერცხი ვნახე აღდგომას

და ვერც თეთრი დასწყევლოს ღმერთმა, ქათმებს ბევრსა ვხედავ და კვერცხი არსადაა. ნუ თუ დედლები გაიფიცნენ და კვერცხებს აღარა სდებენ?!

რაკი ყველაფერი გაძვირდა, გაზეთების გამომცემლებმა იფიქრეს, ჩვენ რაღა დავაშავეთო. შეიკრიბნენ, შეკრეს პირობა და გაზეთები გააძვირეს. ეს არ ესიამოვნათ გაზეთების გამყიდველებს და უარი სთქვეს გაზეთების გაყიდვაზე—ხელს არ გვაძლევენ თითო გაზეთზე ერთი კაპეიკის მოგებაო. რა თქმა უნდა, ერთ კაპეიკს ორი კაპეიკი სჯობიან, გაიფიცნენ გაზეთების გამყიდველები და ეს სამოთხი ღღეა ქალაქის ქუჩებში ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა. გაზეთის გამყიდველები არავის აწუხებენ ყვირილით „ინტერესნი გაზეტ“, „ზავტრაშნი გაზეტ“. გამომცემლები ყურსაც არ იბერტყავენ. ასე ამბობენ - ქალაღლი ძვირია და იაფათ რომ გავყიდოთ გაზეთები რა ჭკუაა, დაე ნაკლები გაზეთი დაიბეჭდოს და დახლში მაინც მეტი ფული ჩავა, თორემ რაც მოგებაა - სულ ქუჩის ბიჭ-ბუჭებს მიაქვთო.

ვნახოთ, რამდენ ხანს გასწევს გამომცემლებსა და გაზეთების გამყიდველთა შორის ატეხილი ბრძოლა...

ნარი.

ღიღინი

სიცოცხლის ნაფლეთები.

ცამ გადიყარა ღრუბელი
და პირი მოიკამკამა;
მზემ ოქროსფერი სხივებით
ტყე-მინდორ-ველი დანამა.
გამოაფიზლა ბუნება
ფრინველთ გალობა-ნანამა,—
მაგრამ ეგ გული ნაღველმა
დასერა, ვითა დანამა... —

—

გაზაფხულია, ბუნება
აჭყვავდა ათას ფერადა. —
უცქერი,—გული ტოკდება,
მზათ არის ასაძგერადა;

მაგრამ სიცხადე სიკვდილის
შამოაწვება მწველადა,—
(რომ ომმა სჩანთქა ყოველი
ქალაქად, მინდორ-ველადა)...

—

ვისაც ძალ-ღონე შესწევდა,
შეეძლო ცოტა წარება,
თოფი აიღო, წილად ხვდა
ომის ფერხულში ტარება.
იბრძვის, არ იცის სიკვდილი
როდის, სად წაეპარება
(დღეს სოფლის კვნესა-ვაებას
ნეტავ რა შეედარება?!)

—

ქალებიც აღარ დაგვიდგენ,
მათაც დასტოვეს სოფელი;
„მილა-სესტრებათ“ წავიდენ,
დაჭრილთ სჭირიათ მომვლელი.
(მოვლა-მორება იმათგან
არ მწამს და არცა მოველი).
მომსწრე ამ გვარი შავ დღისა
სტირის და მოსთქვამს მშობელი...

—

მოსავალს პირი არ უჩანს,
უკვე გათავდა მკილები;
შიმშილით დაიხოცება
ბებრები — დავრდომილები.
დღესაც კვნესიან დაყრილნი
უმწეოთ ქვრივი-ობლები.
(ხარობენ მხოლოდ ამ დროით
წაღმართი გზისა მგმობლები)...

—

ჰყვავის ბუნება და ველი
ბიბინებს გასახარადა;
მზე ისევ მზეობს და დარი
ისევა დარობს კვალადა
ხედავ,—გწყურია სიცოცხლე
ხანგრძლივად დაუზრალადა.—
(აბა ვის უნდა სიკვდილი
ადრე და ისიც ძალადა?)

—

სიკვდილი დაუღალავად
ტრიალებს ბრძოლის ველზედა;
მარჯვედა ხმაობს თავის ცელს,
შეჩვეული აქვს ხელზედა.
ცვივა და ცვივა, დაჭრილნი
აღარ ეტევა ველზედა,—
(ნეტავ ამდენი ჭორ-ლეში
არ დაადგება ყელზედა?)...

—

ვნახე მოხუცი შავებში,
ცრემლებათ ემღვრეოდა;
უსაზღვრო ტანჯვა-ვაებით,
ვითა სანთელი დნებოდა,
შვილი მოუკლეს-ვაჟკაცი,
ავ თვალს არ ენახებოდა. -
(იმისი ტანჯვის მნახველი
ცაც ცოდვით დაიწვებოდა).

—

სწყევლიდა თვის ბედს მწარე ხმით,
უსამართლობას სჩიოდა;
მოსთქვამდა, მწარედ კვნესოდა,
სისხლის ცრემლები სდიოდა,
მაგრამ იმისი ნაღველი
ქვეყნად არავის სტკივოდა. —
(ცოდვა ქვეყნისა ჯოჯოხეთს
თავზედა გადასდიოდა)...

—

ფიქრი ფიქრს მისდევს, აზრები
ველარა დამიჭერია;
ასეთი ცუდი ლექსები
მე ჯერ არ დამიწერია.
ვინ იცის იქნებ სიკვდილის
ჩემზედაც მოდგა ჯერია,
რომ ვერ შევაწყვე ხმასა ხმა
და ულაზათოდ ვმღერია!?

ბერი ქედანი

აკეტიქას ჩივილი

(სტენა)

ვა, რა პლანზე დაწყობილი საქმე ჩამეფუშა! ვიფიქრე თუ წელს ერთი მტრების თვალების სათხრელათ მაღაზიას საქონლით გამოვტენი, მუშტარს მახეში გავაბამ მეთქი. ავდექი მეცა და ერთი კრუანნი ზაკაზი მივეცი ლომში. ფაბრიკანტებს რომ ვიგინდარა ვინმე არ ვეგონო მეთქი, მთელი საქონლის ღირებულობის ნახევარი ფული წინდაწინ გაუგზავნე. ვიფიქრე თუ კუპეწის სახელი მექნება მეთქი. კუპეწი კი არა, მგონი მალე კურტანსაც კი ვიკიდებდე ისე წამივიდა საქმე! არა, რას ვიფიქრებდი, კაცო, თუ ის შაჩვენებული გერმანია ჩვენს იმენიაში შამოვიდოდა! ვა, ხუმრობა ხომ არ არის, შვიდი გასუდარსტვა ვეომებით! ვამობდი **თოხლო კვერცხივით გადავყლაპავთ**

მეთქი. თოხლო კვერცხი კი არა, ის არამზადა როგორც ბუღა ისე აბრიალებს თვალებს! აფსუს ჩემო ფულებო, ვინ ახურდავებს! მერე ვინა სჯამს, კაცო, ჩემს ფულებს, ლემენცები! ნეტა ქეიფის შნო მაინცა ჰქონდეთ. მე შენ გითხრა რაღა ყარაჩოხულათ დუდუკზე არ იქეიფოს! ჩაეყრებიან სადმე პიენოვში და ყლაპამენ პიკას ბუთლიკობით. ისე ეშურებიან, თითქოს პატენტს ვადა გასდისო. აბა რაში ედარდებათ ჩემი ოფლი! არა, კაცო, მე თუ ტუტუცი არ ვიყავე, ხომ ვხედავდი რომ ვაინა გამოცხადებული იყო, რაღას ვგზავნიდი ზაკაზს, მაგრამ რომ აღარ მომისვენა იმ წყეულმა ჩემმა შუშანიკამ! მიეცი, მიეცი, ზაკაზიო, აბა, მივეცი მაგრამ მე ვიღა მაძლევს! მე აქ გატყავებული დაკდიგარ და იქ ლემენცები ჩემ ფულებზე ბუქნას გადადიან.

ეხ, მახლას! კიდევ მადლობა უფალს, რომ ცოცხლები ვართ. როგორცა სჩანს იმ წყეულ გერმანიას ბევრი რამ შასძლებია! ვა, ხუმრობა ხომ არ არის: ეს პულემიოტეო, ეს ბრანეროგწკის ავტომობილეო, ეს ცეპელინწკის აეროპლანეო, ეს ვადიანი ლოდკაო, ეს 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანეო! არა, რას ვიფიქრებდი თუ 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი იქნებოდა! კაცო, სანტიმეტრი მე პარტნოვთან მინახავს, აი ერთხელ არშაკ პარტნოვი დარჩუა ყასაბს ზომას რომ ულებდა, მაშინ მუცლის აბოიმი სწორედ 42 სანტიმეტრი გამოვიდა და ერთბაშათ რომ დავინახე ის დარგეალებული სანტიმეტრი გული გამისქდა რაღა შიშით. ქრისტეს გეფიცებთ მთელი სალდაცი ბაზარი ჩავიდოდა შიგ არხეინთ ახლა რომ მაგონდება კაცო, იმოტელი ზომის ტყეია რომ გამოვარდეს ვა, შუტკა ხომ არ არის: მგონია ბატანიჩეკი ბაღიც კი ყირამალა გადმაატრიალოს. კაცს ამისთანა იარაღი ეჭნება, მოდი და ნუ შაგეშინდება! იმოტელა კრუგის ყუმბარა გამოვარდება, თითქოს მუხრანკის ხიდის თაღიაო. ხუმრობა ხომ არ არის! ზარბაზნებითა აქვთ ამ ლემენცებს დიდი გული, თორემ ვიეკაცობაში რას გახდებიან ჩვენთან. მოგიკვდეთ ჰავეტიქა თუ ნახეევარი დუეინი ლემენცი მარტო მე არ ჩავაწყო სარდინკასავით. რომელსაც დავადებ სიფათში ამ გაჯავრებულ გულზედ, ჰავეტიქას სიყმე მოკვდეს, თუ როგორც ალდაშის საზამთრო ისე არ გავხეთქო შუაზე, თუ მოვესწარ იმ დროს. რომ ეს ტყეია წამალი შამოელიათ, მერე ნახე ჩემი სიმარდე. ისე დავტრიალდე, როგორც სედრაკას ვაცი. არამზადა ვიყო თუ იმდენი არ უბრახუნო, ჩემი ფულის საგეებელში, იმ ლემენცებს, რომ სულ ვასპალენია არ გაუჩინო ობა სტორონაში. დამაცადონ!..

გოგია.

მესტვირული

(სამტრედიისათვის)

გუდა-ნაბადი ავისხი,
გაუდექი შარას ნელა,
ხელში სტვირი დავიჭირე,
წელში ზურგის ასაწველა.

გზაში შემხვდა იოსები,
მიმითითა ბანკისკენა,
და სიჩქარით გავეშურე,
არ მინდოდა მისი წყენა.

ასე მითხრა: ვაჭრებისა
კრებაოო დანიშნული,
დღესვე უნდა გაიყონო
ნაპოვნი და მოგებული.

და ავყევი კიბეს ნელა,
დავიმალე ბნელ კუთხეში,
მოვემზადე, მოვიმარჯვე
მაირახისა ტარი ხელში.

ძნელი ამბავი ეკეთა ვაჭრებისა
და მით უფრო ვაჭრებისა,
არასოდეს არ ივსება
დასაწვავი მათი ქისა.

დარბაზი სულ სავსე იყო,
უბრწყინავდა ყველას სახე,
და მათ შორის ჩვენი გოგიც
მაგიდასთან დავინახე.

აქვე იყვნენ ყველა ჩვენი
ერის ბურჯნი, მოღვაწენი,
დაბის დიდი ბობოლები
და უბრალო ვაჭართ ძენი,

გაყოფის დროს აირია,
როგორც ხდება, მონასტერი,
ყველა თვისკენ მიიწევდა
აქ მოყვარე—იქეთ მტერი.

დაბის შკოლა ილუპვისო,
შემომესმა ხმა მედგარი,
დაეხმარეთ ცოტა ფულით
თუ ხართ ხალხის მეგობარი.

რაო, რაო, ფულებიო?,
წამოიჭრა ზეზე თომა,
ორატორის ჩაჩუმება
ლამის მუშტით მოინდომა.

ჩვენ, ვაჭრები ვიღუპვითო,
გაძვირდაო ყველაფერი,
რას მიქვია სხვისი შკოლა,
რას მიქვია სხვისი ჭერი!

აქეთ ვიღაც წამოიჭრა,
ჩოხოსანი და თეთრ წვერა,
ვით კრილოვის ერთი გმირი
ახმაურდა გაიძვერა:

„არც აკაკის ფონდი, გვინდა
არც თეატრის დახმარება,
რაც მოვიგეთ, ჩავიჯიბოთ
გვეკუთვნის და შეგვერგება“.

იქ კაცაძემ დაიძახა:
„მართალია ძმაიო,
რაც ვიშოვოთ, შევინახოთ,
ცუდი დრო და ჟამიაო“.

და ყოფილი კაცი ვინმე,
შანიძეთა წოდებული,
არა, არას იძახოდა—
თვალში ცრემლებ მორეული:

„ის კი არა, მსახურთათვის
მოვაკლოთო ჯამაგირი,
ვინ უწყისო, რა მოგველის,
დრო დადგა გასაჭირი“.

როს სთქვა თომამ, მყის ფილიპემ
ვაშა-ვაშა შემოსძახა,
ანდრიც ზეზე წამოიჭრა,
თომას კოცნა განიძრახა.

გოგი იდგა თავდახრილი,
პირს ღიმილი მოსდიოდა,
თითქო არაფერიაო,
სახის ჭმუნვა ეტყობოდა.

თეთრი კბილი, შავი გული
არ შერჩება გოგის, არა,
მათრახის ქვეშ მოექცევა
ეგ ბობოლა მეტიჩარა.

რა ვიხილე მტაცებელთა
გაუძღომი აქ ლაშქარი,
განვიძრახე მათთან ბრძოლა —
გავკარი და გამოვკარი.

დარბაზიდან გამოვრეკე,
სალმე უქენ მათ საზარი,
და მათრახით ავაკრეფე
ყველა მათი მეგობარი.

—

ამბობენ, რომ კვირისათვის
კვალად შეიყრებიანო,
არ მომიკვდეს თქვენი თავი,
მე იქ არ დავიგვიანო,

ისე უპირო მათრახი —
გვერდები დაუზიანო.
გაიძვერა ვაკრუკები
ყველა დავაკუზიანო.

ალი.

ძველი ამგავი

მრისხანე ლანგთემურს ძლიერ უყვარდა მუსაიფი მგოსნებთანა, მეცნიერებთან და საზოგადოდ მწიგნობრებთან.

ერთხელ ლანგთემურმა ამანოში წაიყვანა ერთი ფილოსოფოსი (ისტორიამ ან დაივიწყა ამ ფილოსოფოსის ამბავი ან და სხვა და სხვა სახელს უწოდებს).

ლანგთემურმა ჰკითხა ფილოსოფოსს:

— როგორა გგონია, შენის აზრით, რა ვღირვარ მე? რას შეაძლევდი, ჩემი თავი რომ ვინშემ მოგყიდოს?

ფილოსოფოსმა მრისხანე ხელმწიფეს თვალი გადაავლო და უპასუხა:

150 თუმანი ღირხარ, ერთი გროში მეტი არ მიიღება.

ლანგთემურმა იწყინა:

— რას მიჰქარავ? მაგ ფასათ მარტო ჩემი ქმარი ღირს...

— მეც სწორედ შენი ქმრის ფასი გამახსენდა, თორემ შენ თითონ უქმროთ გროში არა ღირხარო, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

დედაკაცების ბლოვა

„რიაზანსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილია: რიაზანიდგან ერთ სოფელში მივიდა გაზეთის თანამშრომელი. გარს მიეხვივნენ გლეხები და ეკითხებიან: მართალია თუ არა, რომ ჩინეთი „ბუნტობს“? ამბობენ, ჩინეთს ძლიერ ცოტა დედაკაცები ჰყავს. რუსეთისთვის შემოუთვლია: ორი „პოლკი“ ქალები გამოგვიგზავნე, თორემ ვაი შენი ბრალი, ჩვენც ომს გამოგიცხადებთო. თუ ქალებს არ გამომიგზავნი, მოვალ და ძალით წაგართმევთო, და თუ შენი ნებით გამოგვიგზავნი ქალებს, მაშინ ორ ვაგონ ჩაის მოგართმევთ მუქთათო. დედაკაცები ტირიან, ძლიერ ეცოდებათ ქალიშვილები, რა ვქნათ, ჩინელებს როგორ გავატანოთ ქალებიო, არ გავატანოთ და — ეხლა ჩინელები დაგვიწყებენ ომსაო.

ჰატარა ფელეტონი

ვინ რით ამაყობს.

ქართველი ხალხი ამაყობს
ქეიფობით და ლხინითა,
ქართველი მოხალისენი —
ჯვარით, მენდლით და ჩინითა.

ქართული ჟურნალ-გაზეთი —
ურიცხვი „პოეტებითა“.
ქართველი „კრიტიკოსები“ —
მათი ლექსების ქებითა.

—

ჩვენი ვაჭარი ამაყობს
საქონლის გაძვირებითა,
(ხალხისა ტყავის გაძრობით
და მათი გაჭივრებითა!)

ჩვენი ქალაქის უპრავა —
ლაზღანდარობითა, — ეკრებითა,
(ყოველ 'დღე 'ცხრის ზერით და
კედელზედ დაკიდებითა!..)

—

ქალაქის სანიტარები —
ბინძური ქუჩის ნებვითა,
გასტრონომითი მოვაჭრე —
დამპალ თევზით და ძეხვითა.

ყასაბი — კამეჩის ხორცით,
მიკიტანი კი — „კვასითა“
და პორციების მოკლებით,
მომატებულის ფასითა.

—

ჩვენი სოსიკო ამაყობს —
დიასამიძის „თემითა“,
შიხიანცი და რუსსელი —
„წიგნაკის“ გამოცემითა.

ცნობილი რობაქიძე კი —
თვისი დამწვარი ზქერითა,
იოსებ იმედაშვილი —
„მეთაურების“ წერითა.

(შემდეგი იქნება)

მათრახოსანი

ომის ვითარება

(კავკასიის ეშმაკთა შტაბისაგან)

ოფიციალური. დასავლეთის ფრონტზე, 22-დან 26 მარტამდე გაცხარებული ომი სწარმოვდა: სამტრედია-ეწერ-კულაშის ხაზზე. აქ ჩვენ ჯარს შეჯახება მოუხდა დღესასწაულების დამცველ არმიასთან. მოწინააღმდეგეთა იერიშები რამდენჯერმე უკუ ვაქციეთ... არიან დაჭრილ-დახოცილები; უფრო მეტი — შეზარხოშებულნი...

მოწინააღმდეგეთა ბანაკში ამ ჟამათ გადამდები სენი — ბახუსი მძვინვარებს...

26 მარტს, გლახა ამინდების გამო, დიდი ოპერაციები არ მომზდარა. მიუხედავათ ამისა, ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია 2 მეტრი და 134 მილიმეტრით. 27 მარტს, სამტრედიის მახლობლათ, ჩვენ კონტრ-იერიშით ავიღეთ, 1 მეტრის სიმაღლეზე, რესტორანი, — „ინტელიგენტი“, მაგრამ

სტრატეგიული მოსაზრებით,*) ერთი საათის შემდეგ ისევ უკან დავიხიეთ. სასმელების ღუქნები სულ დახურული იყო. ოქმის შესადგენად რომ დგებერვებოდათ, — ერთ ჭინჭილა ღვინოს ვერ იშოვნიდით; (თუმცა, კარებ დახურულში აქა-იქ კლიმანჭურიც ისმოდა...)

მცირე ხნის შემდეგ ეს რაიონი ჩვენ ჩრ. ეილოეთით დავსტოვეთ და უფრო მოხერხებული გზით პირდაპირ საჭილაოსაკენ გავეშურეთ. მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო ომმა მდ. „ცხენის ყელი“ „ლოშადნი ბროდსი„ ხაზზე... აქ ჩვენ ჯარს, ძლიერი შეჯახება მოუხდათ საგლეხო ბანკის „მოჭირნახულე,“—ან. მიქაიე-- ჯანელიძის რაზმად (ბანკის ძველი საბჭო-გამგეობის წევრებთან ერთ ად სხ...), რომლებსაც ახალციხურ კარტოფილივით მივაყარეთ შავი კენჭები, მაგრამ მაინც არ დაგვნებდნენ; არჩევნები გაასაჩიერეს და ომს „ბოლომდე განაგრძობენ...“

28 მარტს ჩვენმა რაზმმა ძლიერი იერიშით გადალახა მდ. „ცხენის ყელი“ და საჭილაოში შევედით. მტერმა უკან დაიხია დიდი ზარალით, რომლებმაც ჰოზიციებზე დასტოვეს გარდა მრავალი დაჭრილ-შეზარხოშებულთა და სანოვაგისა---235-დე 24 სანტიმეტრიანი ყანწი („ანტონის“ სისტემის), 97 თუთხმეტ კალიბრიანი „კულა“, რომელიც თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვათ ითვლება და დაჯილდოებულ იქნა მისთვის, საერთაშორისო გამოფენაზე, ბ. ჯ-ძე მათრახის კუდით; მრავალი ჭიქა და 5-ც ახალი ტიპის ჯავშნიანი რუმბები (ღვინის-რწყვით**) თითო 25 ჩაფიანი).

დაპყრობილ ადგილებში, აქ გუბერნატორათ დავნიშნეთ ბ. „ლიხგი“, რომელიც იმედია, ღირსეულათ შეასრულებს ჩვენი შტაბისგან დაკისრებულ თანამდებობას...

ამ დღეებში მზადდება ახალი, გადამწყვეტი ომი. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს...

ახლათ მოსული.

---

*) „დარდანელის დახურვის“(!) გამო საბმელების ფასი თითქმის გაეორკეცებიათ.

**) რომ დრო არ დაკარგონ—„წყალრწყვი“-ს მაგიერ აქ პირდაპირ ღვინით რწყავენ ჯავშნოსნებს. „დრო ფულია“...

ა. მ.

ჩემი სიმღერა

არა, არ ვაყოდერ ჩანგის სიმებსა,
მხოლოდ ჭაბუს ჭქმნდეს გასადმებსა,
არც თუ ვიაკადოთ უცხაურ ხმებსა
ძუბკაესსა ასკეფდოხთ ტაბიდ-ფსაფდოვ-ნებსა;
რომ დასაბამით დდეკ—დდეკნდდაფდე,
და, ვინ უწყს, კიდეკ მოშაკადაფდე—
კეფესსა და გმასაფს ხალხი მწარეთა,
და მეკდად უხმობს არე-მარეთა;
არც ზეცდ ვიფდი, არც ეკეკ ბზეესა
და არც ხამოფსწეკეტ მხთა-ვარსკეფდაკებსა;
რომ ხალხი აქ, ძიროს ეუხდეფდეფდა,
არს და ამაკ დროს დაკარგეფდა;
არც მთავარეს ეეტეეი ბუხეთან ეეკდოხრესა
—ეეკეი მაკეფთნოს ტაკიდ-ეეკოხრესა;
რომ ტრფობა აკი, ტრფობისა ადი,
არ არის, არა თაფისეფდი;
არც მზეს მოეუხმოს, არც მის სხიეკებსა
და არც აკკინდაკ მისკან ძმიეკებსა;
ეედად რო ეკეკ—ტერფა აკბისა,
ეწორ-ეკედარა ეორის ამოსეფდებსა—
ხეკს არ ეეკეხეს ასაკეკესებსა,
არც კონას ეეკერეკ ეესაეკებსა;
ან ვის მიეარდა ეს თაიკედი,
რომ ნარ-ეკადთ სხეეს აქეთ ეედი!?!
არა, არ ვაყოდერ ჩანგის სიმებსა,
მხოლოდ ჭაბუს ჭქმნდეს გასადმებსა;
არც ვიფეკნ, არა, იქ, მადდა ცაზე,
რომ ტანეკეს ვხედავ დიდა მეწაზე!..

მიხ. ნინოწმინდელი.

სცენისეგური

(ედმეტი და ფოტინე)

ელპიტი. ქრისტე აღსდგა, ფოტინე!

ფოტინე. ჭეშმარიტათ—მპა (ალოცებენ ერთმანეთს).

ელპიტი. რა ქენი ქალო, აღდგომა როგორ გეისტუმრე?

ფოტინე. ვმადლობ ღმერთს, ვიგლოჯეთ ხელით, კბილით, შინ, ტყეში. ჩემი ჯავრი არ მაქ და ციცას კი წავიფარე ჩითის ნაკაბეკი, რაცხა სტოლის ხიბაკ-ხუბაკიც კი მქონდა, ერთი კვირის საყოფი ქფილიც კი მაქ და მერე თუ სული შემრჩა ეგება ხელმწიფე რომ გვპირდება წყალობას, იმან მოგვისწროს თვარა და რა ვიცი.

ელპიტი. ოი—დანჩხუთი და მისი ვაკრები მენაბრის ციკლოს ალით გადაბირბილეტლნ; ,ოქმდეზოდა გულო რამე თუ!.. ისე რა, ამ ციცას გათხოვას რაღას უცდი, ჩვენ რო გავბუურეუვდებით და პომპოლიკის დედამთილი გავხთებით იგი შორს იქნება. აგერ თუ შემეხვეწება დილ-ლვამ ოჯახში დგამოყვრებ, ავი იცის და კაი, ნაჯამგირევი კაცია, პაწას კოკლოს, პაწას თვალსაც უქიციანებს ამიზა სალდათათაც კაცი ველარ წეიყვანს. ერთი სიტყვით ამ დროში რომ უნდა იგი სასიძოა, წროულის მეტათ მჭადი არ მიკლებია და ღომი. პაწაი ერთი ორი ხელი ხიბაკ-ხუბაკი მუაბაზირე, ერთი თორმეტი წითელ-წითელი და საქმეს მუაკვარაკენებ.

ფოტინე. ბატონი ბრძანდები, ციკაი თუ დავაჯერე. ისე ელპიტის ჭირიმე მოსიარულე ქალი ხარ და გეგონებედი, აი ჩხუნი ნაადგომევსაც იქნება ნეტაი? ამ ყანნის დათესვიზა არ გაჩერდებიან ნეტაი?!.

ელპიტი. რა ვიცი, გულო, გუშინ მოვკარი ყური ვინცხა ნასწავლი კაცები ლაპარაკობდენ: პაწაი გერმანეკია საშიშარი, თვარა აი ჩანჩარა თათრები მიძვრება გამონაძრომშიო, ბეგენს, ბრესლოოს და დანდალეთს ერკვირეში მუაკვინკვილებენო, აბა რაი დაო, რუსს რა დუუმაგრდება გუუტკლეკელი.

ფოტინე. აბა რაი ქალო, რუსი ჩემ ტერს მიადგა, ყოლიფერი სხვანაირი იცის თურმე, მარა იგი ვინცხა გერმანეკი ეტყუობა თლათ საანკოა, კაი და ასე თუ ერთმანეთი დასწყვიტეს ვათამ დაო სწოულს ყაკობა არ გვექნება?!.

ელპიტი. დიდუე—დიდუე, ღმერთმა დეიცვას, ქვეყანა რო დეიტყალოს უყაკობას მაინც ვერ მევითმენ, მშვიდობით (მიდის).

ფოტინე. მშვიდობა მოგკეს ღმერთმა (**მიდის და მიდაბარკობს**): ღმერთმა დეიცვას! უყაკობა რავა იქნება, იმის დასაპურებელს კი ვიშონნ მე თუ არ მოვკდი შიმშილით **და ცახიდან ჩამოვარდნილ ყაესავით**

არ დავგორდი უხეფსობით, მაგრამ ვაი თუ გერმანე მომადგა, იმის უფრო მეშინია.

შხანკოლა.

ფრთა შემასხი, ფრთა ძლიერი.

სად არს სატრფო, მითხარ ზენავ,
სატრფო ნაზი, მშვენიერი,
მიმასწავლე ვულის სწორთან
მით გამხადე ბედნიერი.

—

ფრთა შემასხი, ფრთა ძლიერი,
გადავლახო მთა და ბარი,
რომ ვიხილო სოცნებო,
ჩემი ტურფა ნაზ-ნარნარი.

—

გადავფრინო ველ-მიდამო,
გადავფრინო მთლათ საზღვარი,
ვნახო ტურფა, ეგებ მტრისა,
დაჰხვევია თავს ლაშქარი?

—

ეგებ გულს ჰგლეჯს ტლანქი ხელი
და არვინ ჰყავს მას მომხმარე,
ეგებ მიჯნურს იწვევს მხსნელათ
სევდიანი და მწუხარე?

—

ფრთა შემასხი, ფრთა ძლიერი,
ვინახულო ბედით კრული,
ვინახულო მზის სადარი,
ჩემი ტურფა დაკარგული.

—

ფრთა შემასხი, ფრთა არწივის,
მით გამხადე ბედნიერი,
მსურს ვიხილო სატრფო გულის,
ფრთა შემასხი, ფრთა ძლიერი.

გოგია.

„მუზა“

(ბ-ნო რედაქტორო! თქვენ ჰატაგეგულ ჟურნალში თუ შეიძლებოდეს მოათავსეთ შემდეგი: ამის წინად ზაათურის სადგურზე ეპიმაკუ წერილი, რომელსაც არ ადმოაუწერდა ჰატრონი. როგორც ეტყობა, ეხლანდელ ჰოეტთაგანის მუზის ნახოვიკა. როგორც დარწმუნდებით, ეს უბრალო კაცის ნაწარმოები არ არის და ამისთვის კიმოამზეკეკი მთარახის ფურცლებზე).

—

დიდებული დამეკ!.. ბაბანაქვეა მზის სხვეკებისაგან დედამიწის ალმური ასდის... საშინელი ქარი და ელვა-ზეკეა, თითქოს მთელი სამყაროს დანარეკვს აპირებსო!.. აგერ, აბიბინებულ, ამეწკანებულ, ოფლიით კაფანენტილ მინდორზე ჩერაში ბატი ბალახს სძოვს!.. ეზოში ლერეფნის წინ კაქენი დაბინეულ ბურის მარტვალს კენკავს!.. ეზა შარაზე კანეშებული, ეურმოაწრიდი ძალი ყიდაცას ეშესაფეს და თანსეობის ნიშნად ეურეს აბანტურებს!... კაოენდა... ეეფალ დასაწოდად ემზადება, რომ დიდა ადრიან თავთავინთ საქმეს შეუდგენ... აგერ ბაბამ ამოეშვა ხერანა—ბავშვებმა ფშვინეს... კიდევ დადამდ!.. ათაშალენ ეეკალანი ფოკინიდან და თავიდებს ფშვინეტეთ წაყიდენ ხელ-ბირის დასაბან

— მოინანიე ცოდვანნი შენნი.

მოდის ქალი და კაცი და ინანიებს.

— მაპატივე, მღვთისმშობელო, დედამთილისაგან ექვსი თუმანი მინდოდა მომეპარა.

— მე კარტოფილი მოვთხარე მეზობლის ბოსტანში...

— მე ქმარს ვუღალატე...

ასტყდება ქოხში ერთი აური-ზაური. ზოგი გულში ხელს ირტყამს, ზოგი თმას იგლეჯს.

„მღვთისმშობელი„ მარფუშა ყველას აპატიებს ცოდვებს. რაღა თქმა უნდა, მარფუშასთან მოაქვთ ზოგს ძღვენი, ზოგს კიდევ ფული. კარგი ხელობაა ეს „მღვთისმშობლობა“...

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

(ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ)

გამოცანას მოგახსენებთ,
მხოლოთ დაუკვირდით ცოტა;
ბევრი ძებნა არ გჭირიათ:
მემამულე არის კოტა.

სამსახურში ნამყოფია,
ბოქაულის პაგონითა,
რევოლვერი წელზე ჰკონდა
მხოლოთ ათი პატრონითა.

იქიდან გამოაძევეს,
სუდში იყო კაკარდითა;
თავისი ოინბაზობით
გამოაგდეს ცაცხანითა.

ერთი გლეხი დაგვიტანჯა
სახელად თემურაზია,
სამ წელიწადს ორ დუქანსა
ჭამდა, ვით ბუმბერაზია.

ეხლა ვადა გაუვიდა,
დაჩანჩალობს ცარიელი,
მუშტი კრივში ნაქცევია,
როგორც დიდი ტარიელი.

ვინც რომ ამას გამოიცნობს,
გაიხარებს მისი გული,
შემდეგისთვის მიერთმევა
ტუხუს გოჯი დახატული.

ორი-ნაჭერი.

ᲓᲕᲔᲚᲘᲔᲑᲘ

(ᲐᲠᲐᲛᲬᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲒᲠᲘᲗᲝᲓᲐᲜ)

დ ლანჩხუთი. აქაურ კოოპერატიულ ფურნეში გამოცხადდა ინტელიგენტური დიქტატურა. ხალხს კი ჯერ ყურზე სძინავს.

ს. ჩიბათი. მამასახლისს კვაჭაძეს დასიზმრია: ვითომც ჯაკვი დაეკარგა და კოსტა სურგულაძემ მოიძია, რომლის გამო სიცხე მისცა და ექიმებმა დაუნიშნეს ღვინის ვანა.

ჯუნჯუათი. ხუთიოდ პირი თხოვნას აგზავნიან სადაც ჯერ არს, აქედან გადაასახლონ მთელი სოფლელები, ტირილზე ქელეხების გადაგდებისათვის და სამგიეროთ აქ ჩამოასახლონ ზოგიერთი ჩიბათლები. იმედი აქვთ თხოვნა შეწყნარებული იქნება.



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲞᲙᲝᲚᲐᲨᲘ“

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.